



953/3-113/22 2 04022022



953/3-113/22
04-02-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
ნათელა თურნავა

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას.“

გთხოვთ, გადმოგცეთ სამინისტროს, მიერ შეიმუშავებული მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველი შესაბამისი გრაფიკი და წესი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



KA020155415387622

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/749

14 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიმდინარე წლის 4 თებერვალს შემოსული თქვენი N953/3-113/22 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ კომპეტენციის თანახმად, აღნიშნული წერილი გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კვლავაც მზადყოფნას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს დასმული საკითხთან დაკავშირებით განხილვაში.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერა/
შტამგვამულია
ელექტრონულად



ლევან დავითაშვილი



KA020186349613722

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/737

14 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

კომპეტენციის თანახმად, გიგზავნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროში მიმდინარე წლის 4 თებერვალს შემოსულ N953/3-113/22 საქართველოს პარლამენტის წევრის
ანა წითლიძის პარლამენტის წევრის კითხვას.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერა/
შტამპი/სურათი
ელემენტურულად



ნინო ენუქიძე



957/3-113/22 2 04022022



957/3-113/22

04-02-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
რატი ბრეგაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას.“

გთხოვთ, გადმოგცეთ სამინისტროს, მიერ შეიმუშავებული მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველი შესაბამისი გრაფიკი და წესი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011752063618222

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

28659

17 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრი ანა წითლიძე

გამარჯობა,

2021 წლის 08 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გადმოგზავნილ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის, ანა წითლიძის წერილი № 65118/17, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია, საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 162-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული მუნიციპალიტეტებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველი გრაფიკის და წესის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მუნიციპალიტეტებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველი გრაფიკის და წესი შედგენილი არ არის.

პატივისცემით,

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის
უფროსი

ხელმოწერა/
შტამპი/საიდენტიფიკაციო
ელემენტები



ლაშა ექიშაშვილი